

დებულება დამტკიცებულია
სტუ წარმომადგენლობითი
საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 11
23 ივლისი 2007 წ.

„დამტკიცებულია“
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის
საბჭოს გადაწყვეტილებით
ფაკულტეტის დეკანი, პროფ. რ. ქუთათელაძე

ოქმი № 6

„ 6 “ ივნისი 2007 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დებულება

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) მიზნებსა და ამოცანებს; აწესრიგებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს; მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, უფლება-მოვალეობებს; მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირების სხვა საკითხებს.

მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი

1. ფაკულტეტი არის სტუ-ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და უმაღლესი პროფესიული განათლების მიღების - დიპლომირებული სპეციალისტის მომზადების სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, ბიზნესის მართვის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით.

2. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე შესაბამისი ბლანკები და შტამპი.

მუხლი 3. ფაკულტეტის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით, სტუ-ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

2. ფაკულტეტი დამოუკიდებელია მოქმედი კანონმდებლობის, სტუ-ის წესდებისა და ამ დებულების ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა განხორციელებაში.

თავი II.

ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 4. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება.

ბ) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

3. ფაკულტეტი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების დონიდან გამომდინარე ოპტიმალური პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგებში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.

მუხლი 5. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) მეცნიერების შესაბამის დარგებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

ბ) უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელება;

გ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

დ) საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა.

თავი III

ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 6. ფაკულტეტის სტრუქტურა

ფაკულტეტი შედგება სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

მუხლი 7. ფაკულტეტის მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრები და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები აირჩევიან სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული წესით.

3. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო არჩევნების, ფაკულტეტის სტრუქტურის, ბიუჯეტის განსაზღვრის და ფაკულტეტისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

5. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების არჩევიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

6. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და სტუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავეს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვების ფარგლებში;

ზ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

თ) ამტკიცებს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ი) ირჩევს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

კ) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს;

ლ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და სტუ-ს წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და არჩევნების ჩატარების წესის შესახებ სტუ-ის დებულებით.

3. დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი;

4. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგინს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავეს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სტუ-ის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) წარმოადგინს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ო) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ფაკულტეტის სახელით;

კ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.

4. დეკანის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით, თუ მოქმედი კანონმდებლობით ან სტუ-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. დეკანის არყოფნისას ფაკულტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანის ერთ-ერთი მოადგილე, დეკანის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით, იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად აფასებს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხს.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

3. ფაკულტეტი საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან მეტი კანდიდატურა.

4. ფაკულტეტის საბჭო კანდიდატურის (კანდიდატურების) წარდგენიდან 10 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების ოქმით.

5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატურის აურჩევლობის შემთხვევაში, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახალ კანდიდატურებს წარადგენს 5 დღის ვადაში.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრთა რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებად ფაკულტეტის საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით, აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოს წევრები სრული ან ასოცირებული პროფესორები ორი

წლის ვადით. მომდევნო ვადით არჩევისას სავალდებულოა სამსახურის წევრთა განახლება 1/3-ით მაინც.

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) სტუ-ის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს;

ბ) აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

გ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისათვის;

დ) რეგულარულად (სემესტრში ერთხელ) აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭოს;

ე) განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებს, მოდულებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის.

თავი IV

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 12. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიზანი

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

2. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირებიც.

3. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

თავი V

ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები

მუხლი 14. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები

სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე იქმნება დეპარტამენტები, ინსტიტუტები (დეპარტამენტის უფლებით) და მიმართულებები.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეპარტამენტები (ინსტიტუტები)

1. ფაკულტეტის დეპარტამენტი არის ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე მონათესავე მიმართულებას.

2. ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სამართალმცოდნეობის დეპარტამენტი;
- ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი;
- გ) საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი;
- დ) უცხო ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი;
- ე) საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტი.

მუხლი 16. ფაკულტეტის დეპარტამენტის (ინსტიტუტის) მართვა

1. დეპარტამენტს (ინსტიტუტს) ხელმძღვანელობს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი – დეპარტამენტის უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება სტუ-ის რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

2. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) კოორდინაცია გაუწიოს დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას;

ბ) ერთიანი საბაზისო მომზადების პრინციპით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ESTS) შესაბამისად, შეიმუშავოს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სასწავლო პროგრამების საკვალიფიკაციო დახასიათებები, მოამზადოს საჭირო მეთოდური მასალები და უხელმძღვანელოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შემუშავებას;

გ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი შეფასების სისტემის დაცვის მიზნით, კოორდინაცია გაუწიოს დეპარტამენტში შემავალ მიმართულებებში შუალედური ტესტირებისა და დასკვნითი გამოცდების ერთიანი წესით ჩატარებას და დასახოს სათანადო ზომები საგამოცდო პროცესის სრულყოფისათვის;

დ) კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმების მიზნით, დაამყაროს საქმიანი კავშირები შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან;

ე) უზრუნველყოს სასწავლო და წინასააღიპლომო პრაქტიკის სათანადო დონეზე წარმართვა, რისთვისაც დაამყაროს ურთიერთობები შესაბამის პირებთან, სამინისტროებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან;

ვ) დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით, ორგანიზაცია გაუწიოს მათი სამუშაო გეგმებისა და მეთოდური მასალების შემუშავებას;

ზ) იზრუნოს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბა-ზის გაუმჯობესებაზე;

თ) კოორდინირება გაუწიოს დეპარტამენტში შემავალ მიმართულებებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების შედგენას;

ი) სასწავლო და სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად მოიძიოს სათანადო ფონდები და უხელმძღვანელოს გრანტის მისაღებად შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებას;

კ) ორგანიზაცია გაუწიოს სტუდენტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;

ლ) კოორდინაცია გაუწიოს მიმართულებების მიხედვით სადოქტორო პროგრამების შემუშავებას;

მ) პერიოდულად (სემესტრში ერთხელ) მოისმინოს მიმართულებების ხელმძღვანელების ანგარიშები და ინფორმაცია გაწეული სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

ნ) მიმართულების წარდგინებით, ერთობლივად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტები და საორგანიზაციო საკითხები;

ო) ფაკულტეტის დეკანთან და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან ერთად გადაწყვიტოს სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხები.

3. დეპარტამენტის ხელმძღვანელი უშუალოდ ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

მუხლი 17. მიმართულება

1. მიმართულება ფაკულტეტის დეპარტამენტში შემავალი სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციული ერთეულია. მიმართულება შედგება აკადემიური პერსონალისაგან.

2. მიმართულების აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობა, მოამზადოს და გადაამზადოს სპეციალისტები, სამეცნიერო და აკადემიური პერსონალი იმ დარგის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, რომელსაც ის ემსახურება.

3. მიმართულების საქმიანობა უშუალოდ ექვემდებარება შესაბამისი დეპარტამენტის უფროსს.

4. მიმართულების აკადემიური პერსონალი:

ა) შეიმუშავებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს (კურიკულუმებს) და სასწავლო კურსის (მოდულის) სილაბუსებს;

ბ) შეიმუშავებს და გამოსაცემლად ამზადებს სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას;

გ) უზრუნველყოფს სასწავლო ლაბორატორიების, კლინიკებისა და სამეცნიერო ცენტრების ნორმალურ საქმიანობას;

დ) წარმართავს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;

ე) განიხილავს დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს;

ვ) უზრუნველყოფს შუალედური და დასკვნითი გამოცდების სათანადოდ ჩატარებას, აგრეთვე საგამოცდო უწყისების რეგისტრაციას.

5. მიმართულებას ხელმძღვანელობს სრული პროფესორი, რომელიც ამტკიცებს მიმართულების სამუშაო გეგმას, აკადემიური პერსონალის

ინდივიდუალურ გეგმებსა და სხვა დოკუმენტებს, ანაწილებს აკადემიურ დატვირთვებსა და ფუნქციურ მოვალეობებს თანამშრომლებს შორის.

6. მიმართულების ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ის რექტორი, ფაკულტეტის დეკანისა და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

7. მიმართულების აკადემიური პერსონალი თავისუფალია სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლების მეთოდების განსაზღვრაში. ამასთან, აკადემიური თავისუფლების რეალიზაციისას დაუშვებელია სტუდენტის მიერ ხარისხიანი განათლების მიღების უფლების შელახვა.

8. მიმართულების ხელმძღვანელი:

ა) დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ძირითად (major) და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებს (კურიკულუმებს);

ბ) კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესს, უზრუნველყოფს სწავლისა და მეცნიერული საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნას;

გ) ფაკულტეტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს სასწავლო პროცესის ჩატარების განრიგს და აკონტროლებს მის დაცვას;

დ) სასწავლო ჯგუფებს ამაგრებს ტუტორებს და წარმართავს მათ საქმიანობას;

ე) ადგენს ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგს სასწავლო დისციპლინების მიხედვით;

ვ) მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

ზ) ადგენს და ყოველწლიურად აჯამებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებს;

თ) ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამასთან (კურიკულუმთან) სასწავლო კურსის (მოდულის) სილაბუსის შესაბამისობას;

ი) უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კურიკულუმების და სასწავლო კურსების (მოდულების) სილაბუსების გაცნობას;

კ) მეთოდურ კონსულტაციას უწევს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და დოქტორანტებს.

თავი VI

ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 18. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: რესურსების მართვის სამსახური, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური და სასემინარო ბიბლიოთეკა.

2. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ეთიკის მუდმივმოქმედი კომისია, ხოლო ბიუჯეტის ფორმირების მიზნით, იქმნება დროებითი საბიუჯეტო კომისია.

3. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

4. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფროსებს, დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

5. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ასორციელებენ ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეიმუშავენ შესაბამისი სფეროს განვითარების წინადადებებს და განსახილველად წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 19. სასემინარო ბიბლიოთეკა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის სასემინარო ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი.

2. ფაკულტეტის ბიბლიოთეკარს დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. ბიბლიოთეკარი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე. იგი ყოველწლიურად შეიმუშავებს და ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს სასემინარო ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამას.

თავი VII

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 20. პერსონალი

ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 21. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორებისაგან.

2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

3. აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ს წესდებით.

მუხლი 22. აკადემიური თანამდებობის დაკავება

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ის წესდებით.

მუხლი 23. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება 3 წლის ვადით.

2. აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

3. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ის წესდებით.

4. პროფესიული ეთიკისათვის შეუფერებელი საქციელი იწვევს პროფესორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

5. აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია დაიცვას ფაკულტეტის პრესტიჟი და არ ჩაიდინოს პროფესორისათვის შეუფერებელი საქციელი.

6. პროფესორისათვის შეუფერებელი საქციელია:

ა) სტუდენტის გამოცდის შედეგებზე ზემოქმედება, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომის არაობიექტური შეფასება;

ბ) პლაგიატობის, ფაქტების გაყალბების და სხვა ანალოგიური ხასიათის დარღვევის დაფარვა;

გ) ლექციის არაერთჯერადი გაცდენა ან მასზე დაგვიანებით გამოცხადება;

დ) პროტექციის შემთხვევის დაფარვა;

ე) ფაკულტეტისათვის არასწორი ინფორმაციის, მათ შორის პირადი მონაცემების, მიწოდება;

ვ) სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;

ზ) ლექციაზე პოლიტიკური შეფასების გაკეთება;

თ) გამორჩენის მიზნით სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების გაწევა, მათ შორის კერძო გაკვეთილების შეთავაზება არასამუშაო საათებში;

ი) საქართველოს სახელმწიფოს ან უნივერსიტეტის პრესტიჟის ხელყოფა;

კ) საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა.

3. გადაწყვეტილებას პროფესორისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენის შესახებ იღებს ფაკულტეტის ეთიკის კომისია.

მუხლი 24. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება :

ფაკულტეტის დეკანი, მისი მოადგილეები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.

6. ფაკულტეტი უფლებამოსილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

7. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ის წესდებით.

თავი VIII

სტუდენტი

მუხლი 25. სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ის წესდების შესაბამისად ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი.

მუხლი 26. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს :

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება ;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში ;

გ) შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით ;

დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ;

ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეული იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, უმაღლესი განათლების კანონის და ამ წესდების შესაბამისად ;

ვ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად ;

ზ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმდები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა ;

ო) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური და მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები ;

კ) აირჩიოს სასწავლო პროგრამა ;

ღ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში ;

მ) პერიოდული მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში ;

ნ) შეიძლება იმყოფებოდეს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე ;

ო) საჭიროებისამებრ აიღოს აკადემიური შევებულება ;

პ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები ;

ჟ) განახორციელოს სტუდენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. დოქტორანტი შეიძლება არჩეული იქნას ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. მართვის ორგანოების არჩევნებში იგი მონაწილეობს, როგორც სტუდენტი .

3. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება.

4. ადმინისტრაციის მხრიდან დაუშვებელია საკუთარი უფლებამოსილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარი გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამომხატვის თავისუფლება.

5. სტუდენტთა ქცევის, დისციპლინური დევნის წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში.

6. სტუდენტი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

7. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 27. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია :

1. ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლაც სავალდებულოა.

2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი.

3. ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

4. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

მუხლი 28. სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

2. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და თავისი დებულების მიხედვით.

3. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება-ჩატარებას განსახდევრავს თავისი დებულებით.

4. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად :

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში ;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას ;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში ;

დ) ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას ;

ე) შეიმუშავეს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, აკადემიურ საბჭოს ;

ვ) საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ;

ზ) საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასებაში ;

თ) ნიშნავს წევრებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებში ;

ი) ნიშნავს წევრებს უნივერსიტეტში არსებულ მუდმივ თუ დროებით კომისიებში ;

კ) იღებს საბაზო დაფინანსებას უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ბიუჯეტიდან ;

ლ) კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან ;

მ) ადმინისტრაციას მიმართავს შუამდგომლობებით სტიპენდიის დანიშვნის, შეღავათების გაწევისა და ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნის შესახებ ;

6) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი IX

ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 29. ფაკულტეტის შემოსავლები

1. ფაკულტეტის ბიუჯეტს შეადგენს ფაკულტეტის მიერ მოზიდული შემოსავლები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია ფაკულტეტის მიერ და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ის წესდებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

2. ფაკულტეტს სტუ-ში გააჩნია თავისი ქვეანგარიში.

3. ფაკულტეტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით გადაწყვიტოს ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსების განკარგვასთან და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

მუხლი 30. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის ძირითად მაჩვენებლებს (შემოსავლებსა და ხაჯებს) განსაზღვრავს ფაკულტეტის დროებითი საბიუჯეტო კომისია, რომლებსაც ფაკულტეტის დეკანი განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული ფაკულტეტის ბიუჯეტი გადაეცემა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნაერთ ბიუჯეტში ჩასართავად.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ბიუჯეტს ჩართავს ნაერთ ბიუჯეტში და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, თუ ფაკულტეტის ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს.

4. ფაკულტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. წარმომადგენლობით საბჭოს უფლება არა აქვს ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს ფაკულტეტის ბიუჯეტში.

თავი X

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 31. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.